მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1993 ᲬᲚᲘᲡ �მᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜ

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ (ᲗᲕᲔᲗᲘ) №12 (411) (5776) 2015

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

ᲓᲦᲔᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘᲐ:



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ხანუქას გვილოცავს

როგორ აღინიშნა ხანუქა მსოფლიოს ქვეყნებ

ბარაკ ობამა: ხანუქა სამეახ!

გადატრიალება კათოლიკეთა და იუდეველთა ურთიერთობაში

ხასიდური ახალი წელი თბილისში

ქრისტიანული ეკლესიის გამოჩენილი მოღვაწე პოლიევქტოს კარბელაშვილი ებრაელთა მისიაზე

ხუთწიგნეულის საკვირაო თავის არსი.

ნიუ-იორკში მცხოვრები მხატვრის რომან კრიხელის ნახატი $ 4 500 000 გაიყიდა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ—ᲣᲖᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲬᲘᲜ

18 დეკემბერს საქართველოში ჭეშმარიტი ზეიმი სუფევდა. ადამიანები ერთმანეთს ულოცავდნენ ქვეყნის დიდ წარმატებას. ამ დღეს ბრიუსელში გამოქვეყნდა ევროკომისიის დასკვნა იმასთან დაკავშირებით, საქართველოში ჩატარებული რეფორმები თუ რამდენად აკმაყოფილებს ევროკავშირის სტანდარტებს. დასკვნაში ნათქვამია, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ცხოვრების სრულიად სხვადასხვა სფეროში ჩატარებული რეფორმები საერთაშორისო თანამეგობრობის დიდ მოწონებას იმსახურებს.

ქართველი ხალხის, საქართველოს ხელისუფლების მოლოდინი გამართლდა.

რას ნიშნავს ყველაფერი ეს საქართველოს მოქალაქეებისათვის?

რასაკვირველია, ევროპასთან მეტ დაახლოებას—როგორც საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა თქვა: მეტ ევროპას საქართველოში და მეტ საქართველოს ევროპაში.

უახლოეს დღეებში დაიწყება პოლიტიკური მოლაპარაკებები, რომლის შედეგადაც მაის-ივნისის თვიდან საქართველოს პასპორტის მფლობელ ქვეყნის მოქალაქეებს ექნებათ შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის უფლება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ქართველი ხალხისადმი მილოცვაში გამოთქვა იმედი, რომ ეს ფაქტი საქართველოს მრეწველობის, ბიზნესის, სამეცნიერო კვლევებისა და სხვა დარგების განვითარებას კიდევ უფრო დააჩქარებს.

საყურადღებოა ერთი გარემოება: როგორც ჩანს, რუსეთშიც გრძნობდნენ, რომ საქართველო უსათუოდ მიიღებდა ევროპაში უვიზოდ მიმოსვლის გარანტიას და 17 ივნისს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა: რუსეთი მზად არის საქართველოს მოქალაქეებისათვის გააუქმოს ვიზის მიღების აუცილებლობა და უვიზო მიმოსვლის რეჟიმი შემოვიღოთო.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხანუქას გვილოცავს

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თბილისის მთავარ სინაგოგაში შეკრებილ ებრაულ თემს ხანუქის - მტერზე გამარჯვებისა და ტაძრის გაწმენდის - დღესასწაული მიულოცა და პირველი სანთელი აანთო.

მთავრობის მეთაურმა დამსწრეთ სიტყვით მიმართა. მან ქართველებსა და ებრაელებს შორის არსებულ საერთო ღირებულებებზე ისაუბრა, რაც მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის საფუძველი გახდა. პრემიერ-მინისტრმა ებრაელ ხალხს მშვიდობა და კეთილდღეობა უსურვა.

“მნიშვნელოვანია, რომ ქართველებს და ებრაელებს შორის არსებობდეს მუდმივი ძმობა და სიყვარული. დღევანდელი დღე არის სინათლის სიბნელეზე და სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების დღე. მინდა გისურვოთ მშვიდობა; ჩვენ საკმაოდ რთულ პერიოდში გვიწევს ცხოვრება, ამიტომ გვმართებს დიდი მოთმინება და გონიერება. ვუსურვებ ებრაელ ხალხს გაძლიერებას და მშვიდობას ქართველ ხალხთან ერთად. დაე, დღეს აქ დანთებული სანთელი იყოს სიმბოლო უკეთესი ხვალინდელი დღის,”-განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ხანუქის დღესასწაულისადმი მიძღვნილ ღონისძიებას საქართველოში მცხოვრები ებრაელები, ისრაელის ელჩი იუვალ ფუქსი, თბილისის მერი დავით ნარმანია და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე დაესწრნენ.

აშშ პრეზიდენტი ბარაკ ობამა: ხაგ სამეახ!

6 დეკემბერს, კვირას, ხანუქის პირველ საღამოს აშშ პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თეთრი სახლის ოვალური დარბაზიდან მსოფლიოს ებრაელობას რვადღიანი დღესასწაულის პირველი საღამო მიულოცა.

— დღეს ამერიკაში, ისრაელში— მთელს მსოფლიოში, ებრაელები იკრიბებიან, რათა აანთონ პირველი სადღესასწაულო სანთელი. ხანუქა განასახიერებს გაურკვეველი წინააღმდეგობის წინააღმდეგ სამართლიანობისათვის ბრძოლას.

დღეს გვაქვს შანსი გავიხსენოთ ტირანიაზე თავისუფლების გამარჯვება, შევიწროებისაგან თავდახსნა, გავიხსენოთ სასწაული, რომელიც შეიძლება მოხდეს ყველაზე შავბნელ დროში. ამერიკელებს, ხალხს, რომლებიც ცხოვრობენ რწმენითა და სინდისით, ხანუქა შეგვახსენებს ჩვენს მისიას ვიაროთ წინ და ვიბრძოლოთ ყოველი ადამიანის ფუნდამენტალური ღირსებისათვის.

დაე, ამ რვა დღის განმავლობაში ჩვენ შთაგვაგონებდეს შუქი, რომელსაც ძალუძს სიბნელის დამარცხება. ჩვენი თავი ისევე მივუძღვნათ იმ სასწაულებს, რომლებისათვისაც ვიბრძვით, როგორც მაკაბელებმა,რომლებმაც ადამიანები დამპყრობელთაგან გაანთავისუფლეს.

დაე, მენორას შუქმა ჩემი ოჯახიდან თქვენსკენ მომავალ სითბოსთან ერთად, გააცისკროვნოს თქვენი სახლები, გაათბოს თქვენი სულები!

ხაგ სამეახ!

უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო: დაე, თქვენს გულებში ენთოს რწმენისა და იმედის სხივი!

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ უკრაინელ იუდეველებს ხანუქის დღესასწაული მიულოცა.

— მოგილოცავთ ხანუქას — სიბნელეზე სინათლის გამარჯვებისბოროტებაზე სიკეთის, უიმედობაზე რწმენის გამარჯვების დღესასწაულს. დღეს,როცა უკრაინელი ხალხი ახდენს თავისი დაუმორჩილებელი სულის დემონსტრირებას, იცავს დამოუკიდებლობას, იბრძვის ღირსეული მომავლისათვის, ურთიერთგაგებას, თანადგომას, გულმოწყალებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

გისურვებთ ძლიერ ჯანმრთელობას, ოჯახურ სითბოს,ბედნიერებას. დაე, თქვენს გულებში მარად ენთოს რწმენისა და იმედის შუქი!

სახანუქე სანთლები უკრაინის რადაში აანთეს

8 დეკემბერს უკრაინის რადაში პირველად აანთეს სახანუქე სანთლები. ეს ღონისძიება უკრაინის სახალხო დეპუტატის,ისრაელის სახელმწიფოსთან საპარლამენტთაშორისო ურთიერთობის ჯგუფის თანათავმჯდომარის გიორგი ლოგვინსკის ხელმძღვანელობით განხორციელდა. სახანუქე სანთლის ასანთებად უკრაინის რადაში მოვიდნენ ისრაელის პარლამენტის წევრები, უკრაინაში საელჩოს დელეგაცია — საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ელიავ ბელოცერკოვსკის მეთაურობით.

ნიუ-იორკი: ქალაქის მერმა ხანუქის პირველი სანთელი მანჰეტენზე აანთო

მოსკოვი —უზარმაზარი ხანუქია რევოლუციის მოედანზე აანთეს.

პარიზი — ხანუქია ეიფელის კოშკზე აინთო,

ბაჰრეინი —ბაჰრეინში ისტორიული ფაქტი მოხდა—სახელმწიფოს მეფემ ხამადა ბინ ისი ალ ხალიფამ ხანუქის სანთლის ასანთებად სასახლეში რაბინი და ებრაელები მიიწვია. რაბინმა ლევინმა პირველი სახანუქე სანთლის ანთების შემდეგ მეფეს მიმართა:

— სულ ცოტა შუქს ძალუძს განდევნოს დიდი სიბნელე, თქვენი მეთაურობით ბაჰრეინი რადიკალური ფუნდამენტალიზმის წყვდიადში სინათლის სხივად იქცა.

ბერლინი. ორგანიზაცია ,,ხაბადის“ მოთავეობით ბერლინში სახანუქე სანთელი ბრანდერბურგის ჭიშკართან აინთო.

ვარშავა. პოლონეთის პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ10 დეკემბერს პრეზიდენტის სასახლეში მიიწვია ამ ქვეყნის მთავარი რაბინი მაიკლ შუდრიხი, მთავარ რაბინთან ერთად პრეზიდენტის სასახლეს ეწვივნენ ებრაული თემის წევრები.. სახელმწიფოს პრეზიდენტმა და მთავარმა რაბინმა ერთად აანთეს ხანუქის სანთელი. სანთლის ანთების ცერემონიალში მონაწილეობდა პირველი ლედი აგათა კონხაუზერ-დუდა.

— ჩემთვის ეს ძალიან მღელვარე მომენტია—თქვა სანთლის ანთების შემდეგ პოლონეთის პრეზიდენტმა.

ცვლილებები ვატიკანის ლიტურგიაში

10 დეკემბერს ვატიკანმა დაამტკიცა ლიტურგიის ახალი ტექსტი. კათოლიკური ეკლესიის ლიტურგიაში იყო ასეთი მონაკვეთი: „მოდით, ვილოცოთ ებრაელობისთვისაც, რათა ჩვენმა ღმერთმა შესძლოს გაანათოს მათი გულები და სცნონ იესო ქრისტე კაცობრიობის მხსნელად.“ ადრე კი ებრაელებს „ბრმებად“ და „წყვდიადში მოქცეულებდ“ მოიხსენიებდნენ.

ახალ ვერსიაში ეს მონაკვეთი უკუგდებულია და სწერია: „ქრისტიანობა და იუდაიზმი ურთიერთდაკავშირებულია, ღმერთს არასოდეს არ შეუცვლია ებრაელობასთან თავისი შეთანხმება,ამიტომ ეკლესია ებრაელობას სხვაგვარად უნდა მოეკიდოს, ვიდრე სხვა რელიგიები ეკიდებიან. კათოლიკეებს მეორე მსოფლიო ომში ებრაელთა კატასტროფაც უნდა ახსოვდეთ.“

შემდეგ:

„შეუძლებელია ქრისტიანები ანტისემიტები იყვნენ. ქრისტიანობა ხომ იუდაიზმის ფესვებზე აღმოცენდა. კათოლიკეებმა ებრაელობას უნდა დაუდასტურონ თავისი რწმენა იესოსი, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს ძალიან ფრთხილად, თავდაჭერილი მანერით და უნდა სცნობდნენ, რომ ებრაელებს ღვთის სიტყვა მოაქვთ“.

„იზრუსი“

რუსეთის ებრაელები ვატიკანის შემრიგებლურ ჟესტს იწონებენ

იური კანერი: კათოლიკური ეკლესიის ეს ნაბიჯი ებრაელობის მიერ დადებითად აღიქმება

რუსეთის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა იური კანერმა ერთობ დადებითად შეაფასა კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება შეცვალონ ლიტურგია, რომელიც ებრაელების ქრისტიანებად მოქცევას გულისხმობდა.

— ებრაელობის მიერ ეს ნაბიჯი აღიქმება დადებითად, აღიქმება, როგორც გამოწვდილი ხელი—იური კანერის სიტყვებს გადმოსცემს „რია ნოვოსტი“ — ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველაფერი ეს მოხდა ახლა, როცა ასე აუცილებელია ტერორიზმის, ისლამური ფუნდამენტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, რისგანაც ერთნაირად ზარალდება ებრაელობაც, ქრისტიანობაც და მუსლიმებიც.

რუსეთის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა გამოთქვა იმედი, რომ ასევე წარმატებით დამთავრდება რაბინების მოლაპარაკება რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ლიტურგიის წესის შესწორების თაობაზე. „ის,რაც მოხდა, შედეგია სხვადასხვა ადამიანის დიდი შრომისა — აღნიშნა კანერმა და დასძინა — მოსკოველებს შეუძლიათ იამაყონ: ვატიკანთან მოლაპარაკებაში მოსკოვის მთავარი რაბინი ფინხას გოლდშმიტიც მონაწილეობდა.

ისრაელის დაზვერვამ ტერაქტი გერმანიაში აღკვეთა

გერმანიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იუწყებიან, რომ ისრაელის სადაზვერვო სამსახურმა გერმანიაში ჯიხადისტების ტერაქტი აღკვეთა.

17 ნოემბერს ჰანოვერში უნდა გამართულიყო საფეხბურთო მატჩი გერმანიისა და ჰოლანდიის გუნდებს შორის.მატჩი დაწყებამდე ორი საათით ადრე ჩაიშალა, რადგან მიიღეს ინფორმაცია, მოსალოდნელი ტერაქტის თაობაზე. პარიზში 13 ნოემბერს მომხდარი ტერაქტის გამო პარიზელებთან სოლიდარობის ნიშნად თამაშს გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, ვიცე კანცლერი და მინისტრები უნდა დასწრებოდნენ. 25 ნოემბერს გაზეთებმა გამოაქვეყნეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ჰონოვერის ტერაქტი პარიზის სტადიონზე (დაიღუპა 130 ადამიანი) მომხდარი ტერაქტის მსგავსი უნდა ყოფილიყო.ადამიანები უკვე ტრიბუნებს იკავებდნენ, როცა ისრაელიდან მოვიდა ცნობა მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ.ყველას სთხოვეს დაეტოვებინათ სტადიონის ტრიბუნები. სტადიონი მალე დაცარიელებულია. ხალხს სპორტკომპლექსიც დაატოვებინეს.

ბარაკ ობამამ სპილბერგსა და სტრეიზანდს აშშ უმაღლესი ჯილდო გადასცა

თეთრ სახლში გამართულ სადღესასწაულო ცერემონიალზე ბარაქ ობამამ აშშ უმაღლესი ჯილდო—პრეზიდენტის თავისუფლების მედალი გადასცა რეჟისორ სტივენ სპილბერგს და მსახიობ ბარბარა სტრეიზანდს.

— დღეს ჩვენ პატივს მივაგებთ განსაკუთრებულ ადამიანებს,ნოვატორებს მსახიობებს, ლიდერებს რომლებიც გვეხმარებიან, ამერიკელებს, როგორც ნაციის ძალა—თქვა პრეზიდენტმა ობამამ მედლების გადაცემის ცერემონიალზე.

ბარაქ ობამამ ასევე დაჯილდოვა კომპოზიტორი სტივენ სონდხაიმი, მევიოლინე და დირიჟორი იცხაკ პერლმანი,მომღერალი ჯეიმს ტეილორი, მუსიკალური პროდუსერი მილიო ესტეფანა და მისი მეუღლე მომღერალი ლორია ესტეფანი, მათემატიკოსი კეთრინ ჯონსონი, სენატორი-დამოკრატი ბარბარა მიკულსკი და ომის ვეტერან ბონი კეროლი.

რაბინი — მინისტრი

არგენტინის ახალმა პრეზიდენტმა მაურისიო მაკრიმ, რომელმაც 23 ნოემბრის არჩევნებში გაიმარჯვა,მემარჯვენე ცენტრისტული მთავრობის გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების მინისტრად დანიშნა პოლიტიკოსი რაბი სერჟიო ბერგმანი. ახლადდანიშნული მინისტრი თავის მოვალეობის აღსრულებას 10 დეკემბერს შეუდგა.

ბერგმანი არგენტინის ყველაზე ძველი სინაგოგის რაბია. 2011 წელს იგი პირველი გახლდათ დღევანდელი პრეზიდენტის სიაში. ბუენოს აირესის საქალაქო საბჭოში მოხვედრისათვის რომ იბრძოდა, 2013 წელს საპარლამენტო არჩევნებში გახლდათ სიის პირველ ადგილზე.

ბერგმანი რომის პაპის ფრანცისკის ახლო მეგობარია,მათი ურთიერთობა დაიწყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა ფრანცისკი ბუენოს აირესის არქიეპისკოპოსი იყო სწორედ მასზე დაწერა ესსეების წიგნი ,,ფრანცისკის სახარება“

სააპელაციო სასამართლომ ჯარიმა გააორმაგა

პარიზში გამომავალი ულტრამემარჯვენე ჟურნალის ,,რივაროლი“ს რედაქტორი ფაბრის ბურბონი პარიზის სააპელაციო სასამართლომ ებრაელობის მიმართ სიძულვილის ქადაგებისათვის 4.000ევროთი დააჯარიმა.

2014 წელს ,,რივაროლმა“ გამოაქვეყნა სტატია ,,მიუღებელი ებრაული აზრის პოლიცია“რომელშიც გაკრიტიკებულია სახელმწიფოს გადაწყვეტილება აკრძალოს ანტისემიტი კომიკოსის მბალა მბალას გამოსვლები. ამ სტატიაში საფრანგეთის სახელმწიფო საბჭო მოხსენიებულია, როგორც რაბინთა სასამართლო და ცდილობს გაატაროს ის აზრი, რომ ფრანგი ხალხი,,ებრაელთა ტირანიის ქვეშ“ ცხოვრობს.

ჟურნალის რედაქტორმა ფრანსის ბურბონმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლომ ჯარიმა გააორმაგა.

ხასიდიზმის ახალი წელი თბილისში

მარინე სოლომონიშვილი

1 დეკემბერს (19 ქისლევი) სასტუმრო „ასტერიონ პალასი“, თბილისში გაიმართა „ხასიდიზმის ახალი წელი“ ,რომელიც ორგანიზებული იყო „ხაბად ლუბავიჩი საქართველო“-ს მიერ. ღონისძიებას ესწრებოდნენ თბილისის ებრაული სათემოს წევრები, საპატიო სტუმარი გახლდათ ისრაელის ქალაქ ხულონის მთავარი რაბი იოსეფ მირილაშვილი. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ რაბი მეირ კოზლოვსკი, რაბი ბესო ისრაელაშვილი, რაბი იოსეფ მირილაშვილი და სხვები.ღონისძიების ფარგლებში ორგანიზებული იყო სპეციალურად ამ დღისათვის სეფერ თორის დაწერა, სადაც დამსწრეთ საშუალება ჰქონდათ თითო ასოს ჩაწერის, იუდაიკის გამოფენა გაყიდვა, ბავშვებისათვის ორგანიზებული გასართობი შოუ, საგანმანათლებლო ფილმების ჩვენება („რაბი შნეურ -ზალმანი —ალტერ რებე“, „რაბი ადმორი“, „ხასიდიზმის ახალი წელი“, და სხვა), და სადღესასწაულო ვახშამი .

19 ქისლევი — ხასიდიზმის ახალი წელი. ორი ისტორია

19 ქისლევი — ხასიდიზმის ახალი წელი რაბი შნეურ -ზალმანი —ალტერ რებე დაახლოებით 200 წლის წინ, 5505 (1745) წლის 18 ელულს ვიტებსკის რაიონის დასახლება ლიადში, რაბი ბარუხის და რაბანით რივკას ოჯახში დაიბადა ვაჟი — შნეურ ზალმანი.

ხაბადის წარმომადგენელთა შორის არის ასეთი თქმულება: შნეურ ზალმანის დაბადების წინ, მამამისს - ბორუხს დაესიზმრა, თითქოს მისი შვილი იუდაიზმს ორმაგი შუქით —მზისა და მთვარის შუქით ანათებდა. ამიტომ ბორუხმა თავის შვილს დაარქვა ,,შნეი ორ,“ რაც ,,ორ სინათლეს“ ნიშნავს. და მართლაც, რაბი შნეურ ზალმანმა დიდი წვლილი შეიტანა იუდაიზმის როგორც ,,ხილული“, ისე ,,ფარული“ ნაწილის გავრცელებაში.

უკვე ხუთი წლის ასაკში შნეურ ზალმანი თორის შესწავლაში დიდ წარმატებებს აღწევს. მოგვიანებით ის ძლიერ წუხდა, რომ ნიჭიერებისა და სწრაფად ათვისების უნარის გამო ვერ ასრულებდა მიცვას „თორის გულმოდგინედ და სიძნელეებით შესწავლა“. ადრეული წლებიდანვე შნეურ - ზალმანი გამოირჩეოდა სიკეთითა და გულმოწყალებით. მას მთელი გულით უყვარდა ყველა ებრაელი.

13 წლის ასაკში შნეურ - ზალმანი უკვე თორის აღიარებულ ბრძენად ითვლებოდა, რის გამოც მას მეტსახელი „ალტერ რებე“ („მოხუცი რებე“) შეარქვეს. ის ებრაელებს თორის შესწავლისკენ მოუწოდებდა.

25 წლის ასაკში (რაბი მეჟერიჩელი მაგიდის დახმარებით) ალტერ - რებემ დაიწყო ებრაული კანონების კრებულის „სულხან ჰა-რავის“ შედგენა. მოგვიანებით დაწერა წიგნი „თანია“, რომელსაც თავისი ცხოვრების მთავარ წიგნს უწოდებდა.

შნეურ-ზალმანმა დააარსა სწავლების ახალი პრინციპი - ხაბადი (ხ-ხოხმა, ბ-ბინა, დ-დაათ), რომელიც ყოველდღიურობაში ფილოსოფიის, მედიტაციისა და თვითსრულყოფილების დანერგვას გულისხმობდა. თავდაპირველად ხასიდიზმის სწავლებაში ბევრი რამ გაუგებარი რჩებოდა, რაც გარშემომყოფთა უკმაყოფილებას იწვევდა. გაჩნდნენ ხაბადის მოწინააღმდეგეები — ,,მისნაგედები,“ მტრობა და რებესთვის ზიანის მიყენების სურვილი ნელ-ნელა საწადელს უახლოვდებოდა.

იმ პერიოდში ერეც ისარელში ებრაელები ცოტანი იყვნენ. ისინი ლოცულობდნენ, სწავლობდნენ თორას და სიღარიბეში ცხოვრობდნენ. ამიტომ რებე ხასიდებთან ერთად ფულს აგროვებდა და თავის მოძმეებს ეხმარებოდა. ისრაელის მიწა თურქეთს ეკუთვნოდა, რაბი კი ცხოვრობდა რუსეთში, რომელიც თურქეთთან ომს აწარმოებდა.

შნეურ ზალმანი მთავრობაში დაააბეზღეს, თითქოს რაბი მტრებთან თანამშრომლობდა და მას ფინანსურად ეხმარებოდა. მის დასაპატიმრებლად დასახლებაში ჟანდარმერიის ჯარისკაცები გაგზავნეს. სახელმწიფო ღალატის ბრალდებით რებე დააპატიმრეს და როგორც განსაკუთრებულად საშიში დამნაშავე, პეტერბურგში პეტრო-პავლოვსკის ციხეში გამოკეტეს. იდგა 1798 წელი, სუქოთის დღესასწაულის ბოლო დღე..

ერთხელ ალტერ-რებეს ციხეში მისი მასწავლებლების - ბაალ შემ ტოვის და რაბი დოვ-ბერის - სულები ესტუმრნენ. რებე შეეკითხა: „რისთვის დამაპატიმრეს?“ მასწავლებლებმა უპასუხეს, რომ ეს ზეცაში გამოტანილი ბრალდების გამო მოხდა, რადგან ალტერ-რებემ თორის ძალზე ღრმა საიდუმლოებეები გაავრცელა. მაშინ შნეურ ზალმანმა იკითხა: ე.ი არ არის საჭირო ხასიდიზმის გავრცელება?“ მისი მასწავლებლების სულებმა კი უპასუხეს: „პირიქით! ახლა ხასიდიზმის გავრცელება მთელ სამყაროშია საჭირო! ეს ებრაელებს განდევნილობიდან დაბრუნებაში დაეხმარება და მაშიახის მოსვლასაც დააჩქარებს!“

ალტერ რებემ საპყრობილეში 53 დღე გაატარა.

საინტერესოა, რომ წიგნ „თანიაში“ ასევე 53 თავია.

სპეციალურად შექმნილმა კომისიამ რებეს საქმიანობა სახელმწიფოსთვის საზიანოდ არ მიიჩნია. რებე გაათავისუფლეს.

19 ქისლევს, იმ მომენტში, როცა ალტერ-რებეს გათავისუფლების შესახებ შეატყობინეს, ის 55-ე თეილიმში შემდეგ ფასუქს კითხულობდა : ,,პადე ბეშალომ“ — „ის სიმშვიდეში ათავისუფლებდა ჩემს სულს, რამეთუ მრავალნი იყვნენ ჩემთან ერთად.“

ცნობა ალტერ რებეს გათავისუფლების შესახებ ქალაქში მალე გავრცელდა, ხასიდები ქუჩაში სიმღერითა და ცეკვით გამოეფინნენ და ცადიკის გათავისუფლებას ზეიმობდნენ.

მიწიერ სასამართლოში გამართლებამ ალტერ რებესთვის ნათელი გახადა, რომ მას ხასიდიზმის გავრცელების საქმეში უზენაესის სრული მხარდაჭერა ჰქონდა.

მას შემდეგ 19 ქისლევი ცნობილია როგორც გათავისუფლების დღესასწაული, ანუ ხასიდიზმის ახალი წელი.

დიდებული მიცვა

რებ გაბრიელი ალტერ-რებეს მოსწავლე იყო. ხანა-რივკასთან 25 წლიანი თანაცხოვრების მიუხედავად, წყვილს შვილები არ ჰყავდა. გაბრიელი ქალაქის წარმატებული ვაჭარი იყო, მაგრამ რთულმა პერიოდმა მისი ფინანსური მდგომარეობა შეარყია. იმ დროს ალტერ-რებე პატიმრების დასახსნელად ფულს აგროვებდა. მას საკმაოდ სოლიდური თანხა ესაჭიროებოდა. ყველა ფიქრობდა, რომ გაბრიელი დიდი თანხის გამოყოფდა, თუმცა, სინამდვილეში ამის საშუალება მას არ ჰქონდა. ხასიდი ძალიან დარდობდა, რომ ვერ მონაწილეობდა ისეთ მნიშვნელოვან მიცვაში, როგორიცაა პიდიონ შვუიმ - ტყვეების დახსნა.

როცა ხანა-რივკამ ქმრის მღელვარების შესახებ შეიტყო, თავისი ძვირფასეულობა გაყიდა და საჭირო თანხა შეაგროვა. შემდეგ მონეტები ისე გააპრიალა, რომ კეთილშობილი ლითონი თვალისმომჭრელად ბზინავდა. ქალმა მთელი გულით ილოცა, ჰაშემს მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება შესთხოვა და თანხა გაბრიელს გადასცა, რათა რებესთან მიეტანა.

შნეურ-ზალმანთან მისვლისთანავე, გაბრიელმა ფულით სავსე ქისა გახსნა. მონეტების სიპრიალემ რებე გააოცა.. ის წამიერად ჩაფიქრდა და თქვა: მთელი იმ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოსგან, რაც ებრაელებმა მიშქანის მშენებლობისას გაიღეს, ისე არაფერი ბზინავდა, როგორც ქალების შემოწირული სარკეებისგან დამზადებული სპილენძის პირსაბანი. მითხარი, საიდან მოიტანე ეს მონეტები? გაბრიელმა რებეს რთული ფინანსური მდგომარეობის შესახებ უამბო და არც ის დაუმალავს, როგორ იშოვა ცოლმა ეს თანხა.

რებემ ხანმოკლე დროით თავზე ხელები შემოიწყო და დაფიქრდა. შემდეგ გაბრიელს მიუბრუნდა და გამრავლებაზე, ხანგრძლივ სიცოცხლეზე და სიმდიდრეზე დალოცა. მან ურჩია ბიზნესი დაეხურა და ბრილიანტებით ვაჭრობა დაეწყო. ყველა კურთხევა ასრულდა: გაბრიელი გამდიდრდა და მრავალრიცხოვანი ოჯახის უფროსი 110 წლის ასაკში გარდაიცვალა.

„ქველმოქმედებაზე გაღებული თანხა“ შესაძლოა რაოდენობით არ გამოირჩეოდეს, მაგრამ თუ მცნება თვითგანწირვით და სიხარულით სრულდება, ის უდიდეს ფასეულობას იძენს, ბრწყინავს და ადამიანის სიცოცხლეს ანათებს.

ნაპოლეონის მარში

მამაცმა ფრანგმა მებრძოლებმა რუსეთის საზღვრები სულ სიმღერ-სიმღერით გადალახეს. აბა, რა! გამარჯვების ამ მარშით თითქმის მთელი ევროპა დაიპყრეს. წინ იყო ამოუცნობი, უცხო და ბარბაროსული რუსეთი. 1812 წლის ზაფხული იდგა. რუსული კამპანია არ უნდა ყოფილიყო ხანგრძლივი, ნაპოლეონი სწრაფ გამარჯვებაზე ოცნებობდა. ცნობილია, რომ ალტერ რებეს ნაპოლეონი რუსეთის ებრაელობისთვის დიდ სულიერ საფრთხედ მიაჩნდა, ამიტომ ის თავის ხასიდებს რუსული არმიის დახმარებისკენ მოუწოდებდა. რებემ ორი ხასიდი მტრის ბანაკში შეგზავნა, რათა მოესმინათ ,,დაუმარცხებელი არმიის სამხედრო მარში.“ ხასიდებმა რებეს დავალება შეასრულეს და სულ მალე ნაპოლეონის მარშს ხასიდურ თავყრილობებზე მღეროდნენ. ,,ყველა ისე ომობს, როგორც შეუძლია. ჩვენ ნაპოლეონი დავამარცხეთ!“ — ამბობდა ალტერ რებე. ,,ჩვენ მათ მარშის მელოდია წავართვით, რაც ნიშნავს, რომ საბრძოლო სულის გარეშე დავტოვეთ!“

საბრძოლო მოვლენების შემდგომმა განვითარებამ რაბის სიტყვები გაამყარა. შორეული 1812 წლის ამბები ისტორიის კუთვნილება გახდა. არ ვიცით, ახსოვს თუ არა ვინმეს საფრანგეთში ნაპოლეონის მარში, მაგრამ ეს მელოდია დაკარგული არ არის. მას დღემდე მღერიან ალტერ რებეს მიმდევრები იომ ქიფურში, ,,ნეილის“ დასკვნითი ლოცვის წინ. ეს ჩვენი გადამწყვეტი ბრძოლა იყო, ეს იყო გამარჯვება შინაგან მტერსა და ბნელ ძალებზე. მოვა დრო და გამარჯვების ამ მარშით მოშიახს შევეგებებით....

ბაბუა და შვილიშვილი

ნაპოლეონი რუსეთში შეიჭრა და წინ მიიწევდა. ალტერ რებე იძულებული გახდა უკანდახეულ რუსულ არმიას ფეხდაფეხ გაჰყოლოდა. პარასკევს, 6 ელულს, ალტერ რებემ და მისმა თანამგზავრებმა დატოვეს სოფელი კრასნოე. წინ მიდიოდა ეტლი, რომელშიც ისხდნენ ალტერ რებეს შვილი მიტლ რებე, შვილიშვილი რაბი მენახემ ნოხუმი და ორი ჟანდარმი. თავად რებე მესამე ეტლში იჯდა. საოცარი სანახავი იყო ეს მსვლელობა. როცა ქარავანი გზაგასაყარს უახლოვდებოდა, ალტერ რებე თავისი ეტლიდან ნელა ჩამოდიოდა და ცოტა ხანი ჯოხზე დაყრდნობილი ღრმად ჩაფიქრებული იდგა. ვინ იცის, რაზე ფიქრობდა ის ამ წუთებში, რა ხილვები ჰქონდა? ამის შემდეგ ის თანამგზავრებს უჩვენებდა საით უნდა წასულიყვნენ და მსვლელობაც მითითებულ გზას ადგებოდა. ერთ-ერთ გზაგასაყარზე რაბი მენახემ ნოხუმს შეეშალა და იქით არ გაუხვია, საითკენაც რებემ უჩვენა. ათი ვერსტი ჰქონდათ გავლილი, როცა მენახემ ნოხუმმა თავისი შეცდომა აღმოაჩინა. ძალიან შეწუხდა და აცრემლებულმა ყველაფერი ბაბუას მოახსენა. ალტერ რებემ ღრმად ამოიოხრა და თქვა: ,,ბედნიერებაა, როცა შვილიშვილი ბაბუის ნაკვალევს მიჰყვება და პირიქით, როცა ბაბუაა იძულებული შვილიშვილს გაჰყვეს.“ შემდეგ ალტერ რებემ ხელი ჩაიქნია და გზის გაგრძელება ბრძანა. ყველა ხასიდისთვის ნაცნობი იყო ის ,,ნიშანი,“ რომელიც ალტერ რებემ ლიადიდან გაქცევის დროს მისცა: ,,დაე, იყოს ამაზე მისი მოწყალება, რათა ჩვენ მივაღწიოთ პოლტავამდე როშ ჰა-შანის დადგომამდე.“ რომ არა რაბი მენახემ ნოხუმის საბედისწერო შეცდომა... სადღაც უკრაინის სოფლებში გზა აებნა ერთ ებრაულ ეტლს... მის უკან ნელა დაგორდა ებრაული ისტორიაც...

ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ერთ დასახლებას — პენას მიაღწიეს, სადაც ალტერ რებეს წმინდა სულმა ეს სამყარო დატოვა. რაბი მენახემ ნოხუმმა ეს საბედისწერო შეცდომა თავს მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ აპატია...

ებრაელნი და ქრისტიანობა. ებრაელნი და ქართველნი

პოლიევქტოს კარგელაშვილი

კაცთა ნათესაობის დამამშვენებელი საუკეთესო მარგალიტი ღმერთ-კაცი, მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე ებრაელთა, ღვთისაგან მიხენილ, სამშობლოში დაიბადა, როგორც დიდი ხნის მოლოდება წარმართთათვის და ებრაელთათვის. მისი მოძღვრება ებრაელებმა აღიარეს და ებრაელებმავე მოჰფინეს მაშინდელ ქვეყნებს — აზიაში, აფრიკაში და ევროპაში. თვით იესო ქრისტემ და მისმა მოციქულებმა კარგათ იცოდნენ ებრაელთა სარწმუნოებრივი სჯულ-დებულებანი და ამისათვის მოციქულთა დროდანვე ებრაელთა საღმრთო წერილი დაედო საფუძვლად საქრისტეანო ყოველ ლოცვა-ვედრებასა და საღმრთო მსახურებასა. საღმრთო მსახურების წესი (ლიტურგია) შეადგინეს მოციქულებმა — ებრაელებმა — პეტრემ, იაკობმა, მარკოზმა და გაავრცელეს. იერუსალიმის, საბერძნეთის, სომხეთის, საქართველოს და სხვა ეკლესიებში თითქმის მეათე საუკუნემდე ხმარებაში იყო იაკობ მოციქულის „უამის წირვა“ (ლიტურგია). კაბადოკია, კლარჯეთი და შავი ზღვის აღმოსავლეთის ნაპირები იმავე თავით მჭიდროდ იყო დასახლებული ქართველთა ტომით და მათ შორის ქრისტეს მოძღვრება დანერგეს ანდრია და სიმონ მოციქულებმა.

ძველის ძველადგან მცხეთა, ციხედიდი, ცხინვალი, ქარელი, ბრეთი, ურბნისი, კოდის წყარო, კარსანი, სობისი, ბოდბე, ურიათუბანი — წარმოადგენდნენ ებრაელთა მიერ დასახლებულ ბინადრობასა. ამიტომაც დღემდე მრავალი ზნე-ჩვეულება შერჩათ ქართველობას ებრაელთაგან შეძენილნი, მაგალ. გლოვნა მიცვალებულისა, ქორწინების გარდახდის წესი და სხვ. თვით ქრისტეანობის დამამყარებელი საქართველოში წმ. ნინო იერუსალიმში აღზრდილი იყო და საქართველოში მოსულმა პირველად მცხეთელი ებრაელები მოაქრისტიანა: მირიან მეფე და მთელი მისი საშეფო „ურიაყოფილს“ აბიათარს მღვდელს „ახალ პავლეს“ ეძახიან და წმ. ნინოს მხურვალე თანაშემწე იყო ქრისტეანობის გავრცელებაში თავის სახლეულით. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ წმ. ნინომ, როგორც მოციქულებმა, მშვენივრად იცოდა ის საგალობო კილოები, რომელნიც მოციქულთაგან ისწავლეს ქრისტეანებმა და შემდეგ ეგნატე ღმერთშემოსილმა, ებრაელთა მიხედვით, მწყობრად საგალობლად დააწყო იმ წესზედ, როგორც დღეს-აც ივალობებიან ანტიფონები ჩვენს ეკლესიაში. სისულელედ ჩაეთვლება ყველას, ვინც იფიქრებს, რომ ან იაკობ მოციქულის „უამის წირვაზედ“ სახმარნი საგალობელნი და ან ანდრია და სიმონ მოციქულების მიერ შემოღებულ საღმრთო მსახურების დროს ბერძნული კილოები ეხმარნათ! ამისთანა კერპობის დროინდელი კილოები ხომ ქართველებსაც მრავლად მოეპოვებოდათ იმ დროს? უეჭველია, მოციქულნი ხმარობდნენ იმ საგალობელ კილოებს, რომელნიც პატარაობითვე ჰქონდათ შესწავლილი ურიასტანში, როგორც ებრაელებს. ძველი აღთქმის საღმრთო წერილი გვამცნებს, რომ: ა) მეწამულ ზღვაში მშვიდობით გამოსვლის შემდეგ არონმა შეჰკრიბა მამაკაცნი, ხოლო მისმა დამ, მარიამმა დედაკაცნი და ორ გუნდად უგალობდნენ ღმერთსა სამადლობელ გალობასა; ბ) დავით-მეფე წინასწარმეტყველმა შეადგინა აქა-იქა გაფანტულ ფსალმუნთა (საგალობელთა) სხვადასხვა დასაკრავთა იარაღთა დართვით; გ) ბაბილონში ნაბუქოდონოსორ მეფემ რომ სამნი ყრმანი (ებრაელნი) ჩააყრევინა ანთებულ ქურაში, იგინი მწყობრად უგალობდნენ ღმერთსა სამადლობელ გალობასა. ყველა ეს ებრაელთა საგალობელნი (ტექსტი) დღეს-აც ხმარებაშია როგორც ებრაელთა შორის, ისე ყველა საქრისტეანო ტაძრებში. ხოლო წმ. სახარებიდგან გტყობულობთ, რომ იესო ქრისტეს თავის მოციქულებით მშვენიერი გალობა სცოდნია. ჯვარცმის დროს დარაჯთა ასისთავი იყო მცხეთელი ურია და პირველმა აღიარა მაცხოვარი ჩვენი „ძედ ღვთისად“. ჩვენი მეამტიანე აღგვიწერს ჩვენი სამეფო გვარის (ბაგრატიოსთა) მომდინარეობასა დავით მეფისაგან. საქართველოს სამეფოს იმავე თავით ებარელებისთანა უვნებელი არც ერთი სხვა ტომი არ შემოჰხიზნებია. მათის შემწეობით და გავლენით საღმრთო წერილი პირდაპირ ებრაულიდგან ითარგმნა ქართულს ენაზედ მცხეთაში. ცასა ქვეშე არც ერთი სამეფოს თავგადასავალი არ ემსგავსება სავსებით საქართველოს სამეფოსას ისე, როგორც ებრაელთა სამეფოსი. იერუსალიმის აოხრება ჯერ ნაბუქოდონოსორისაგან და მერე ვესპასიანისაგან — და საქართველოსი ჯერ შახაბაზისაგან და მერე აღამაჰმადხანისაგან განა შესადარებელნი არ არიან? ებრაელთა ტყვეობა ბაბილონში (სამჯერ 16 წლის განძავლობაში) და ქართველებისა სპარსეთში (1612–1625 წწ.) თავის შედეგით განა შორს არიან ერთმანეთისაგან?

რომ ჩვენი ზემორე ნათქვამი უფრო დასაბუთდეს, ყური ვათხოვოთ სახელოვანს რუსეთის საეკკლესიო ისტორიკოსს, ჩერნიგოვის მიტროპოლიტს ფილარეტსა. აი, რასა სწერს იგი საზოგადოდ საეკლესიო გალობის შესახებ: „უწინდელმა ბერძნებმა სრულიად არ იცოდნენ სამხმოვანი, ანუ ოთხხმოვანი გალობა; მათი მგალობელთა გუნდი, რომელიც ზოგჯერ ასი კაცისაგან შესდგებოდა, ერთხმად გალობდა, მაღლა და დაბლა ჰანგების (тонъ) დაუმატებლივ (унисонное пѣніе); ძველი საეკკლესიო გალობა, როგორც უნდა ვიაზროთ, დაახლოვებული იყო ებრაელთა ხმოვან გალობასთანა. ცნობილია, რომ ქრისტეანობრივი საღმრთო მსახურება თავდაპირველად შეერთებული იყო ებრაულთან და შემდეგ შეითვისა ამ უკანასკნელისაგან რომელნიმე ნაწილნი. მოქრისტეანებულნი ებრაელნი დიდად ერიდებოდნენ ყოველსავე კერპულსა. „დიდი სამველე, ბუნებრივი დიადი სიმარტივე ებრაელთა გალობისა (აზრი კლიმენტოს ალექსანდუიელისა) აიძულებდნენ ქრისტეანეთა კეთილმსახურებასა აღერჩიათ იგი გალობა“. ებრაული გალობა დიდად ემსგავსებოდა ბერძნულს დორიულს გალობასა, რომელიც განსხვავებული იყო სხვა ყველა გვარ ბერძნულ გალობათაგან მეტისმეტი სიმარტივით, დარბაისლური ხასიათით და დიადობით. დორიული გალობა დიდს ხმარებაში იყო მთელ საბერძნეთში. მოქრისტეანებულნი წარმართნი იცავდნენ თავის (სიყრმიდგანვე) ნაცნობს კილოებს და მათში უფრო ისრეთებს, რომელნიც თავის თვისებითა, ხასიათით ეშესაბამებოდა საქრისტეანო გრძნობათა და აზრთა სულსა, როგორიც არის დორიული“.

სრულიად ცხადია, რომ ქართველებს წმ. მოციქულების ანდრიას და სიმონის და წმ. ნინოს ქრისტეს მოძღვრების ქადაგებასთან ერთად ესმოდათ მათი ებრაული გალობაც, რასაკვირველია, საქრისტეანო ახალის საგალობელი სიტყვებით (ტექსტით). თუ მაგ ებრაულ კილოებს ქართველები რომელიმე მიზეზით არ შეითვისებდნენ, მაშინ რა საჭირო იყო მათთვის კერპობის დროინდელი ბერძნული უცხო კილოები, როდესაც თვით ქართველებს გაცილებით უფრო მეტი და მწყობრი ეროვნული საკუთარი საგალობელთა კილოები ჰქონდათ კერპობის დროინდელივე. გახა ეროვნული თავმოყვარეობის გრძნობა მკვდარი იყო მაშინ? თუ დღეს პოლიტიკურს თვით არსებობას მოკლებული ქართველი ერი სათუთად დასტრიალებს და თავს ეგლება ყოველს ძველს ნაანდერძევს კილოებს და დღესაც-კი ახალ-ახალს კილოებსა ჰქმნის, მაშინ რაღა იქმნებოდა ქართველი, როდესაც მისი გავლენა ისტორიით აღიარებული იყო მთელ მცირე აზიაში და შავი ზღვის ნაპირებზედ? მაშასადამე, ყოველ ზემორე თქულებიდან ჩვენ გვეედავთ დასაბუთებით დავასკვნათ შემდეგი: ა) საზოგადოდ ქართული საეკკლესიო გალობა არის ღვიძლი შვილი ქართულის საერო სიმღერებისა; ბ) თუ რომელსამე უცხო ერის გალობამ იქონია გავლენა ქართულ გალობაზედ, ეგ გავლენა არის ებრაულის გალობისა, რადგან თვით საბერძნეთშიაც VIII საუკუნემდე იხმარებოდა ეგნატე ღმერთშემოსილის მიერ (107 წ.) შეთხზული ებრაელთამებრი ანტიფონური გალობა.

პოლიევქტოს კარბელაშვილი ქართველი ებრაელების შესახებ

ასმათ ჯიქია

პოლიევქტოს კარბელაშვილი მღვდელი იყო, მოღვაწეობდა XIX საუკუნეში. ამ დროს საქართველო რუსეთის კოლონიაა. რუსეთში კი ანტისემიტიზმი მძვინვარებს. ადვილი მოსალოდნელი იყო მთელს მსოფლიოში ატეხილ ისტერიას, ე.წ. „რიტუალური მკვლელობის“ შესახებ, საქართველოშიც შემოეღწია. აი, ასეთ დროს, 1898 წელს, გამოდის კარბელაშვილის ნაშრომი — „ქართული საერო და სასულიერო კილოები, ისტორიული მიმოხილვა“.

მოძღვრის ნაბრძანები ზოგი რამ, შეიძლება ყველასათვის უკრიტიკოდ არ იყოს მისაღები... აქვე, წინასწარ, იმასაც აღვნიშნავთ, რომ ავტორი სასულიერო კილოების საფუძვლად ეროვნულ ქართულ-ხალხურ სიმღერას მიიჩნევს. და მაინც, ნაშრომში ადგილი აქვს დათმობილ ერთ თავს სათაურით — „ებრაელნი და ქრისტიანობა, ებრაელნი და ქართველნი“. წიგნის წამკითხველს, შეიძლება, ზედმეტად ან სულაც, ხელოვნურად მოეჩვენოს ეს ნაწილი. ახსნა მხოლოდ ასეთია — ავტორს, ქართველ ქრისტიან მღვდელს უყვარს, თან საოცრად, ქართველი ებრაელობა. ნაშრომი კი მხოლოდ საშუალებაა გულისნადების გამჟღავნებისა. თვით დამონებული ქვეყნის შვილისაგან სხვა გზა, სხვა საშუალება დახშულია!

ავტორი გრძნობს, რომ მავანთათვის საჭიროა შეხსენება იმისა (მავანთათვის კი — განცხადება),

რაც ისტორიულად იყო ორ ერს შორის. ამ მიზნით მიმართავს ისტორიას — „ქართლის ცხოვრებას“ — ქართველთა სახარებას, როგორც უტყუარს, სანდოს, საფიცარს!

ქრისტიანული სამყაროს უმეტესი ნაწილი, დღესაც კი, ქრისტეს წამებაში ებრაელთ სდებს ბრალს. ქრისტეს არცნობაში ხედავს მათი ტანჯვის უსასრულობას. ჩვენი მოძღვარი კი სწორედ ებრაელთა დამსახურებას ხედავს ქრისტეს მოვლენასა თუ ქრისტიანობის, როგორც სარწმუნოების, ჩამოყალიბება-გავრცელებაში.

„ღვთისაგან მიჩენილს“ — უწოდებს რა ქვეყანას, სადაც იესო დაიბადა, მაცხოვრის დაბადებას მიიჩნევს, როგორც „დიდი ხნის მოლოდების აღსრულებას წარმართთა და ებრაელთათვის“. ავტორს უხარია: რომ მისმა მაცხოვნებელმა „ქრისტემ და მისმა მოწაფეებმა კარგად იცოდნენ ებრაელთა სარწმუნოებრივი სჯულდებანი და ამიტომაც, მოციქულთა დროიდანვე საღმრთო წერილი დაედო საფუძვლად საქრისტიანო ყოველ ლოცვა-ვედრებას და საღმრთო მსახურებას“, რომ მის ქვეყანაში „ქრისტიანობის პირველი გამავრცელებლები ტომით ებრაელები — ანდრია და სიმონი იყვნენ“, რომ საქართველოში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად სწორედ იერუსალიმში გაზრდილი, იეროსალიმიდან მოსული წმინდა ნინოს დროს გამოცხადდა, რომ უფლის კვართი სწორედ ებრაელმა — აბიათარმა ჩამოიტანა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქართველები IV საუკუნეში ბერძენი მღვდლების მიერ მოინათლნენ, „ქართული ეკლესია არა კონსტანტინეპოლური, არამედ იერუსალიმური წარმოშობისაა“.

ჯვარცმის დროს, ბრძანებს ავტორი, დარაჯთა ასისთავი იყო მცხეთელი ურია და პირველმა მან აღიარაო, მაცხოვარი ჩვენი „ძედ ღვთისად“. ჩვენი მატიანე აღგვიწერსო ჩვენი სამეფო გვარის (ბაგრატიონთა) მომდინარეობას დავით მეფისაგან, რომ „თავიდან, უეჭველია, მოციქულნი ხმარობდნენ იმ საგალობელ კილოებს, რომელნიც პატარაობითვე ჰქონდათ შესწავლილი ურიასტანში, როგორც ებრაელებს“.

თითქოს ახალი არარა თქმულა. თითქოს ყველასათვის ცნობილი ფაქტების კონსტატაციაა? თუმც, ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ფაქტების გახსენება კი არა, სასურველის სიყვარულით გაცხადება უფროა. ამას იგრძნობს ყველა, ვინც ამ წიგნს თუნდაც ერთხელ გადაიკითხავს.

მივყვეთ ნაშრომს: „საქართველოს სამეფოს იმავე თავით ებრაელებისათანა უვნებელი არც ერთი სხვა ტომი არ შემოჰხიზნებია, მათის შემწეობით და გავლენით საღმრთო წერილი პირდაპირ ებრაელიდან ითარგმნა ქართულ ენაზე მცხეთაში. ცასა ქვეშე არც ერთის სამეფო თავგადასავალი არ ემსგავსება სავსებით საქართველოს სამეფოსას ისე, როგორც ებრაელთა სამეფოს. იერუსალიმის აოხრება ჯერ ნაბუქოდონოსორისაგან და მერე ვესპასიანესაგან — და საქართველოსი კი ჯერ შაჰ-აბასისაგან და მერე აღა-მაჰმად-ხანისაგან განა შესადარებელნი არ არიან? ებრაელთა ტყვეობა ბაბილონში (სამჯერ 16 წლის განმავლობაში) და ქართველების სპარსეთში (1612-1625 წწ.) განა შორს არიან ერთმანეთისაგან?“

ავტორი სიხარულით განაცხადებს, რომ „ძველის ძველთაგან მცხეთა, ციხედით, ცხინვალი, ქარელი, ბრეთი, ურბნისი, კოდის წყარო, კარსანი, სობისი, ბოდბე, ურიათუბანი — წარმოადგენდნენ ებრაელთა მიერ დასახლებულ ბინადრობასა. ამიტომაც, დღემდე მრავალი ზნე-ჩვეულება შერჩათ ქართველობას ებრაელთაგან შეძენილნი, მაგალითად, გლოვნა მიცვალებულისა, ქორწინების გადახდის წესი“.

ნაშრომის ბოლოს ავტორი დასკვნის სახით განაცხადებს თავის სურვილს — „თუ რომელიმე უცხო ერის გალობამ იქონია გავლენა ქართულ გალობაზედ, ეგ გავლენა არის ებრაულის გალობისა“.

ასეთი მოძღვრები და რაბინ-ხახმები ზრდიდნენ ქართველებსა და ებრაელებს. ამიტომაც იყო მათ შორის საოცარი, ღვთისმიერი სიყვარული — ჰყავდა ქართველ ებრაელს ქრისტიანი ძიძა და დედას ეძახდა მას, ძიძიშვილები საკუთარ დაძმასავით უყვარდა. ქართული მორდუობისა და ძუძუმტეობის ინსტიტუტს მოსეს შეგონებასავით უფრთხილდებოდა. და-ძმად შეფიცვის არაერთი შემთხვევაც დაფიქსირებულა ამ ორი ერის წარმომადგენელთა შორის და მიდიოდნენ ქრისტიანი ქართველები ებრაელთა ოჯახებში როშ ჰაშანიას, ფურიმის, ფესახის მისალოცად, ისინი კი მარხვისას განერიდებოდნენ, მარიამობას, შობას თუ აღდგომას ულოცავდნენ ქრისტიან მოყვრებს: სადღესასწაულო სუფრებს ერთად უსხდნენ და შეზარხოშებულებიც ერთურთის ცხოვრების წესის — ქართული თუ ებრაული სუფრის წესის დაცვაზე ფიქრობდნენ.

და ბოლოს, თუ არ ვცდებით, მთელს მსოფლიოში ჩვენ და მხოლოდ ჩვენ — ქართველები და ებრაელები ვეძახით ჩვენს პლანეტას დედას — „დედამიწა“ „იმა ადამა“. იქნებ, ესეც რაღაცაზე მიგვანიშნებდეს!..

ნაშრომს უდიდესი სიყვარულითა და მოწიწებით ვუძღვნი ბანძის ებრაელთა თემის წარმომადგენლებს.

ისრაელის ელჩი საქართველოს მუსლიმ ლიდერებს შეხვდა

ისრაელის ელჩი საქართველოში იუვალ ფუქსი აღმოსავლეთ საქართველოს მუფთის, იასინ ალიევს და საქართველოს შეიხს, რამინ იგიდოვს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა ტოლერანტობის, განათლებისა და სხვადასხვა რელიგიის წარმომადგებელთა შორის დიალოგის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. განხილული იყო რელიგიებს შორის განსხვავებები, მრწამსთან დაკავშირებული და პოლიტიკური საკითხები.

ისრაელის ელჩმა საქართველოში მადლობა გადაუხადა მასპინძლებს თბილი მიღებისთვის და ხაზგასმით აღნიშნა, რაოდენ მნიშვნელოვანია მშვიდობაზე ზრუნვა დღესაც და მომავალშიც.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ იომ ქიფური ოფიციალურ დღესასწაულად სცნო

18 დეკემბერს ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში დაადასტურეს, რომ უძველესი ებრაული დღესასწაული იომ ქიფური აღიარებული იქნა ოფიციალურ დღესასწაულად. მიუღებლად იქნა მიჩნეული ამ დღეს რაიმე სხდომებისა, თუ ოფიციალური შეხვედრების ჩატარება.

ანალოგიური გადაწყვეტილება გასულ წელსაც იქნა მიიღეს. შარშან სხდომაში მონაწილე 32 სახელმწიფოს წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა იომ ქიფურის დღესასწაულად გამოცხადებას, მაგრამ ეს პროცედურა ყოველ წელს უნდა განახლდეს.

ისრაელში ტერორის მსხვერპლთა პატივსაცემად

„შალომ კლუბ გურიას“ წარმომადგენლებმა ისრაელის პრემიერ მინისტრს წერილით მიმართეს, რომელშიც აღნიშნულია, რომ დღეს დაგეგმილი სპორტული შეჯიბრება ისრაელსა და საქართველოში ტერორის მსხვერპლთა და გმირთა პატივსაცემად გაიმართება.

„შალომ კლუბ გურიას“ წევრები „მაშავის“ კურსდამთავრებულები და ისრაელის ჭეშმარიტი მეგობრები არიან. წლების განმავლობაში ისრაელის საელჩოს თანადგომით მათ არაერთი სოციალური პროექტი განუხორციელებიათ.

შეჯიბრი ზედიზედ მეორე წელიწადია, იმართება. მას ისრაელის კონსული საქართველოში, ადელ ჰინო დაესწრება.

ბოლო რამოდენიმე კვირის განმავლობაში პალესტინელ ტერორისტებს 22 ადამიანი ემსხვერპლა, 200 ისრაელელი მძიმედაა დაშავებული.

„შალომ კლუბ გურიას“ წერილი:

„ისრაელიის პრემიერ მინისტრს, ბატონ ბენიამინ ნეთანიაჰუს

ღრმადპატივცემულო ბატონო ბენიამინ, მეორე წელია, საქართველოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არსებობს არასამთავრობო ორგანიზაცია „SHALOM CLUB GURIA,“ რომლის წევრები ისრაელში „MASHAV“-ის მიერ ორგანიზებული სასწავლო ცენტრების კურსდამთავრებულები ვართ, ადგილობრივი ხელისუფლების, ისრაელის საელჩოსა და, პირადად, ბატონი იუვალ ფუქსის მხარდაჭერით, ვატარებთ პატარა სპორტსმენების რესპუბლიკურ ტურნირს თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც ეძღვნება სამშობლოს დამოუკიდებლობისა და ტერორიზმთან ბრძოლაში დაღუპულ ქართველ და ისრაელელ გმირთა ხსოვნას. ტურნირის დროს ბავშვები ეცნობიან ისრაელისა და საქართველოს ისტორიას, ქართველთა და ებრაელთა 26 საუკუნოვან ურთიერთობებს, ორი ერის ბრძოლას დამოუკიდებლობისა და ტერორიზმის წინააღმდეგ. ჩვენ პრესითა და ტელევიზიით თვალყურს ვადევნებთ თქვენს ძალისხმევას რეგიონში მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის; თქვენი ტოლერანტობა და კაცთმოყვარეობა საქვეყნოდ არის ცნობილი და გვწამს, რომ გაიმარჯვებთ სამართლიანობისათვის ბრძოლაში.

ტურნირის ყველა მონაწილე, ორგანიზატორები და მხარდამჭერები გამოვხატავთ ღრმა მწუხარებას ისრაელში ტერორისტთა ხელით დაღუპული ადამიანების ოჯახებისა და დედებისადმი, რომლებმაც გმირი შვილები აღზარდეს. გვწამს, რომ თქვენი ძალისხმევით ყვალაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ ისრაელელმა ხალხმა მშვიდათ იცხოვროს.

ბატონო პრემიერო,

გამოვხატავთ რა პატარა სპორცმენების სურვილს, გიგზვნით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლის ბავშვების მიერ თექით შესრულებულ ისრაელის გერბს, რომლის მეორე მხარეს პატარების ხელმოწერებია. გავა წლები, პატარები გაიზრდებიან და ყოველთვის იამაყებენ ამ ტურნირითა და თქვენდამი მოძღვნილი საჩუქრით , რაც ისრაელელი ხალხისადმი თანადგომის გამოხატულებაა. ჩვენ კი, „SHALOM CLUB GURIA“-ს წევრები გიგზავნით საუკეთესო სურვილებს ჰანუქასა და ახალი წლისათვის. ჩვენი „საფერავით“ ჩვენი სამშობლოების წარმატების, მშვიდობისა და აღორძინების სადღეგრძელოს შევსვამთ.

გილოცავთ დამდეგ ახალ წელს. გფარავდეთ ღმერთი

ღრმად პატივისცემით,

არასამთავრობო ორგანიზაცია „SHALOM CLUB GURIA“ დამფუძნებელი:

ზაურ ოსეფაიშვილი

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რაბინის კუთხე

შიმონ წიწუაშვილი

ვაეხი

სიყვარული შურის საპირისპიროდ

წერია თორაში, „და იცოცხლა იაკობმა ეგვიპტის მიწაზე 17 წელი. და მოუახლოვდა იაკობის გარდაცვალების დღეები და დაუძახა იოსეფს თავის შვილს“ და მოვიდა იოსეფი თავის ორ შვილთან --ეფრაიმთან და მენაშესთან ერთად, იაკობი სიბერის გამო კარგად ვერ ხედავდა და კითხა იოსეფს ვინ არიან ესენი? უპასუხა იოსეფმა, ჩემი შვილები არიან რომლებიც გამჩენმა მომცა, უთხრა იაკობმა მოიყვანე ჩემთან და ვაკურთხებ მათ, მიიყვანა ჩაეხუტა იაკობი და სანამ დაიწყო მათი კურთხევა, გაიშვირა მარჯვენა ხელი, დაადო ეფრაიმს უმცროს ძმას თავზე და მარცხენა ხელი დაადო მენაშეს უფროს ძმას, შეცვალა ხელის დადება თავზე, იმის მაგივრად რომ მარჯვენა უფროსზე დაედო, დაადო უმცროსს. დაიწყო იაკობმა კურთხევა, აკურთხა იოსეფი და გააგრძელა და ამბობს აკურთხოს აბრაჰამის და იცხაკის ღმერთმა, რომლის გზაზეც დადიოდნენ, რომელიც მე მიმანიშნებს გზას და ანგელოზი, რომელიც მიხსნის ყველანაერი გაჭირვებისგან, მათ აკურთხონ ეს ბიჭები, გაამრავლონ. დაინახა იოსეფმა რომ ხელები პირიქით დაადო და შეეცადა შეეცვალა, თხოვა მამამის რომ მარჯვენა დაედო მენაშეზე პირველშობილზე, და მარცხენა ეფრაიმზე, უთხრა იაკობმა ვიცი, ვიცი შვილო რომ ეს უმცროსია, და უთხრა იაკობმა რომ მისგანაც დიდი ერი წამოვა. უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე უფროსის ერი. მათი სახელებით აკურთხებენ მომავალში მამა თავის შვილს „იესიმხა ქიეფრაიმ ვეხიმენაშე“. და იქნებიან მენაშე და ეფრაიმი როგორც რეუვენი და შიმონი ჩემი შვილები , და ამიერად იქნება არა 11 შტო ისრაელი ერის, არამედ 13 შტო, და როცა ებრაელები შედიან ისრაელის წმინდა მიწაზე ვხედავთ რომ მიწა გაიყო 13 შტოზე და არა 11 შტოზე, იოსეფის შტო გადაიქცა 2 შტოდ ეფრაიმის და მენაშესი. რა იყო განსაკუთრებული ეფრაიმში და მენაშეში? რით დაიმსახურეს ცალ ცალკე შტოები ყოფილიყვნენ იაკობის სხვა შვილებისგან განსხვავებით რომ ეგრე მათში არ მოხვდა? იაკობს ხომ ბევრი შვილთაშვილიც ყავდა რატომ სხვებმა ვერ დაიმსახურეს ეგრე? ხსნის თორა, რომ იაკობი ხედავდა როგორი შური ჰქონდათ ძმებს იოსეფის მიმართ. ფერადი ზოლებიანი პერანგი რომ შეუკერა იაკობმა იოსეფს ძმებს შეშურდათ და შეძულდათ იოსეფი და ვერ ელაპარაკებოდნენ იოსეფს მშვიდად. და როცა იაკობი აკურთხებს ეფრაიმს და მენაშეს, უმცროსზე ამბობს რომ უფრო მომაღლდება და ძლიერი იქნება, უფროს ძმას იმის მაგიერ რომ შეშურდეს და შეძულდეს თავისი უმცროსი ძმა, სიყვარულით და მხიარულად შეხვდა თავისი ძმის წინ სვლას, იმის და მიუხედავად, რომ მას უნდა მიეღო ეს კურთხევა, არ შურს თავისი ძმის, უფრო მეტი, უხარია რომ თავის ძმას უხარია, იმიტომ რომ ძმის სიხარული მისი სიხარულიცაა. ეს რომ დაინახა იაკობმა რომ ერთად არიან და ორივეს ერთმანეთის სიხარული და წინსვლა უხარიათ, თქვა რომ ესენი იმსახურებენ იყვნენ ერთ საფეხურზე როგორც სხვა ჩემი შვილები. თორა გვასწავლის რომ ასეთი სიყვარული უნდა იყოს ყველა ებრაელს შორის, უნდა ერთად იყვნენ ყოველთვის და გვიხაროდეს ერთმანეთის წინსვლა და წარმატება. წერია თორაში: რატომ დაინგრა მეორე ტაძარი? იმიტომ რომ იყო ებრაელებს შორის უსაფუძლო შური და ზიზღი. და უკვე თითქმის 2000 წელია ვერ გამოსწორებულა ეს ცოდვა, როცა ყველას ერთმანეთი ეყვარება და გაუფრთხილდება თითოეულ ებრაელს და გაეხარდება მისი კარგად ყოფნა და შეიყვარებს, მაშინ აშენდება მესამე ტაძარი.

გამჩენმა დაგვიჩქაროს ჩვენს დღეებში მაშიახის მობრძანება და ტაძრის აშენება. შაბათ შალომ.

გია ბუღაძე: „ეს კი შენი გამარჯვებაა“

საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ ცნობას იმის თაობაზე, რომ ნიუ-იორკში მცხოვრები მხატვრის რომან კრიხელის ფერწერული ტილო “მსოფლიოს ყველაზე მშვენიერი ქალი“ 4 500 000$ გაიყიდა.

2011 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიაში გაიმართა რომან კრიხელის ნამუშევრების გამოფენა. გაზეთმა „მენორა“-მ მხატვარი მკითხველს წარუდგინა. ხუთი წლის წინათ „მენორაში“ დაბეჭდილი დიალოგი რომან კრიხელთან დღესაც საინტერესოა, ამიტომ განმეორებით ვთავაზობთ მკითხველს.

23 მაისს თბილისის სამხატვრო აკადემიაში გაიხსნა ნიუ-იორკში მცხოვრები ქართველი ებრაელი მხატვრის რომან საიმონ კრიხელის ფერწერის გამოფენა. პირველი სიტყვა თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორმა გია ბუღაძემ თქვა.

ბ-ნი გია ბუღაძე მიესალმა ჩინებული მხატვრის, სამხატვრო სასწავლებელში მისი ჯგუფელის რომან კრიხელის საქართველოში სტუმრობას, ხაზი გაუსვა მის შემოქმედებით ინდივიდუალობას და იმასაც თუ როგორ დაინტერესდა სამხატვრო აკადემიის სტუდენტ-ახალგაზრდობა რომან კრიხელის შემოქმედებით. ,,ეს კი შენი გამარჯვებაა“ მიმართა მან მხატვარს. გია ბუღაძემ გააჟღერა რომან კრიხელის გადაწყვეტილება ერთი ტილო — ,,მეტატრონი“ აჩუქოს საქართველოს ხელოვნების მუზეუმს.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ დამსწრეთ გაუზიარა ნახატებისგან მიღებული შთაბეჭდილება, ისაუბრა მხატვრის შემოქმედებით თავისებურებაზე, მხატვარს მადლობა გადაუხადა ძვირფასი საჩუქრისთვის და დასძინა:

— მსოფლიოს ცნობილი მუზეუმები მდიდარი მეცენატების მეოხებით არიან აღიარებულნი. ჩვენ, სამწუხაროდ, ასეთი მეცენატები არა გვყავს, ამიტომ სწორედ მხატვრების მიერ ნაჩუქარი ტილოებით ვმდიდრდებით. დიდი მადლობა ამ მშვენიერი საჩუქრისათვის ბატონ რომანს.

მწერალი, დრამატურგი, ჟურნალ ,,თეატრი და ცხოვრების,“ გაზეთ ,,მენორას“ რედაქტორი გურამ ბათიაშვილი მიესალმა მხატვრის თბილისში სტუმრობას და აღნიშნა:

— გავეცანი აქ წარმოდგენილ მშვენიერ ნახატებს, გავიცანი ჩინებული შემოქმედი, როგორც აქ მითხრეს, იგი ერთ-ერთი პირველი გაემგზავრა საქართველოდან. მიახლოებით მაინც ვიცი, თუ რას ნიშნავს რეპატრიაცია, რა სირთულეები ახლავს ემიგრანტის ყოფას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბატონმა რომან კრიხელმა ძალიან რთული, მძიმე გზა გაიარა, მაგრამ მის ნახატებში მაინც იგრძნობა ქართული ფერწერის სკოლა.

რომან კრიხელის მიერ გამოფენაზე წარმოდგენილ ნახატებზე ისაუბრეს მხატვრებმა რადიშ თორდიამ, გოგი ლაზარიშვილმა, აკადემიის დეკანმა დავით აღექსიძემ.

გამოფენის გახსნაზე თბილისის ებრაული თემის წევრებიც მოვიდნენ.

,,მენორას“ რედაქცია დაინტერესდა ბ-ნი რომან კრიხელის შემოქმედებითი ცხოვრების დეტალებით და შეხვდა მას.

— ბატონო რომან, რა არის თბილისში თქვენი ჩამოსვლის მიზანი?

— ჩემი ჩამოსვლის მიზანი პირველ რიგში გახლდათ ის, მენახა, საქართველო, თბილისი სადაც დავიბადე და გავიზარდე. ასევე ჩემი ნამუშევრები გადავეცი საქართველოს მუზეუმებს ბათუმში, ქუთაისში, ფოთში. თბილისის მუზეუმს კი ზემოთ ნახსენები ,,მეტატრონი“ ვაჩუქე. სურვილი მქონდა, ჩემი შემოქმედების ნაწილი საქართველოში დარჩენილიყო.

— როგორ მიიღო დამთვალიერებელმა თქვენი ნამუშევრები, თქვენს შემოქმედებას ალბათ, აქამდეც იცნობდნენ..

— ზოგიერთი იცნობდა, მთლიანობაში როგორც საჭირო იყო, ისე მიიღეს. პირადად მე ძალიან გახარებული და კმაყოფილი დავრჩი.

— ბატონო რომან, გვიამბეთ თქვენი ცხოვრების შესახებ...

— დავიბადე ქალაქ თბილისში, 17 წლის ასაკში წავედი ჯერ ისრაელში, შემდეგ ორი წელი იტალიაში ვცხოვრობდი, იქ ველოდი ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრების ნებართვას. და ბოლოს ნიუ-იორკში გადავედი საცხოვრებლად. მას შემდეგ 37 წელი გავიდა და აი, საქართველოში პირველად ჩამოვედი. აქაურობა ძალიან მენატრებოდა. მესმოდა, რომ თბილისი ძალიან შეცვლილაო, ცვლილებები ნამდვილად ბევრია, განსაკუთრებით კი იმ უბანში, სადაც დავიბადე, მაგრამ უბნის სულისკვეთება ისევ ისეთია, ვერ ვიტყვი, რომ რაიმე განსაკუთრებული ცვლილება შევნიშნე. ყველაფერს თავისი დრო აქვს და ის დროც მოვიდა, როდესაც უნდა ჩამოვსულიყავი და ჩამოვედი კიდეც.

— რამდენი წლის იყავით, როდესაც მხატვრობით დაინტერესდით?

— ძალიან ადრე, სამი წლის. ყოველთვის ვხატავდი, იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში ვსწავლობდი, სამწუხაროდ, ვერ დავამთავრე, რადგან საზღვარგარეთ წასვლა მომიწია. ყოველთვის ვმუშაობდი. იტალიამ ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ბავშვობიდანვე გატაცებული ვიყავი იტალიური ხელოვნებით, განსაკუთრებით რენესანსის ეპოქით, გამაოგნებელი სანახაობაა, როდესაც ამ ყველაფერს საკუთარი თვალებით ხედავ, ჩემთვის ეს დიდი სკოლა იყო, დღემდე ასეა. ხელოვნება უსასრულობაა, და ყოველთვის რაღაცას ვსწავლობ განსაკუთრებით იტალიური ხელოვნებიდან.

— იტალიის ნახვამ თქვენს შემოქმედებაში გარდატეხა მოახდინა?

— რა თქმა უნდა! ჩემთვის ხელოვნების ტექნიკური მხარე, ოსტატობა ძალიან მნიშვნელოვანია, შეიძლება ხელოვანს საინტერესო იდეები ჰქონდეს, მაგრამ ხელოვნებაში, განსაკუთრებით კი ფერწერაში, თუ ტექნიკას არ იყენებ, იმ შენს იდეებს ვერ განახორციელებ — სრულყოფილებას ვერ მიაღწევ, საერთოდ სრულყოფილება ძალიან ვრცელი თემაა, მაგრამ ვფიქრობ, გარკვეული ნორმა, გარკვეული ხაზი არსებობს, სადამდეც შეგვიძლია მივიდეთ. ამ შემთხვევაში დამთვალიერებელი კმაყოფილებას განიცდის, რომ ხელოვნება სრულყოფილებამდეა მისული.

— თქვენ შემოქმედებას როგორ შეაფასებთ სრულყოფილებამდეა მისული, თუ ჯერ კიდევ აკლია რაღაც?

— მე ასე ვიტყოდი, ჩემთვის პირადად ჯერ აკლია, და ალბათ, ყოველთვის აკლდება. შეიძლება გარკვეულ დონეს მიუახლოვდე, მაგრამ შემდეგ უფრო ზემოთ გინდა ასვლა, ხელოვნება უსასრულობაა. და საერთოდ ცხოვრებაც უსასრულობაა, ადამიანებმა კი უნდა ვიცოდეთ სად შევჩერდეთ.

მსოფლიოს ყველაზე მშვენიერი ქალი

— ბატონო რომან, რა ადგილი უჭირავს ებრაულ თემას თქვენს შემოქმედებაში?

— ვფიქრობ, დიდი ადგილი უჭირავს, მაგრამ ეს ძალიან განსხვავებულად გამოიხატება. ტრადიციულად, მიაჩნიათ, ებრაული თემა არის მაშინ, როცა ტილოზე ბევრია ებრაული სიმბოლოებია. მე ეს გზა არ მიზიდავს, ჩემს ხელოვნებაში ეს ნაკლებადაა. თუმცა, ჩემს შემოქმედებაში არის ებრაული სული, ყოველთვის ძალიან გატაცებული ვიყავი ებრაული მისტიციზმით, კაბალით, ამ ელემენტებს ჩემს ნამუშევრებში ყოველთვის ვაერთიანებ. ვფიქრობ, რომ ეს ძალიან თვალსაჩინოდ, გამოკვეთილად არ აღიქმება, ზოგიერთი ნამუშევრის გასაგებად მეტი დაკვირვება და ჩემი ახსნაც საჭიროა ხოლმე.

— თქვენი ნამუშევრები რთული გასაგებია?

— ყველა არა, თუმცა, მაქვს ნამუშევრები, რომლებიც ნამდვილად რთულია გასაგებად.

— საერთოდ ასეთი ნამუშევრები უფრო ფასობს?

— ამას ვერ ვიტყვი, ვფიქრობ ორივე თავისებურად საინტერესოა, შემდეგ ეს უკვე მაყურებელზეა დამოკიდებული, ვინ როგორ აღიქვამს და ვის როგორ მოეწონება.

— კაბალა ახსენეთ, კაბალას, თალმუდს, ძველ აღთქმას რა ადგილის უთმობთ, ცხოვრებაში, შემოქმედებაში?

— ვფიქრობ, ძალიან დიდი... არა მარტო კაბალით, არამედ აზიური მისტერიული თეორიებით, ბუდისტური მეცნიერებებით ყოველთვის ვიყავი გატაცებული, მაგრამ ჩემთან ყველაზე ახლოს მაინც იუდაისტური ფილოსოფიაა. მაგალითად ნამუშევარი, რომელიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმს გადავეცი საჩუქრად „მეტატრონი“, ალეგორიული და სიმბოლისტური ხასიათისაა. მთავარი ფიგურა, მთავარი გამოსახულება არის „მეტატრონი,“ ძალა, რომელიც იცავს უსასრულობას და ჩვენს სამყაროს, ეს არის ზღვარი დროებითსა და უსასრულობას შორის. ძალა, რომელსაც „მეტატრონი“ ქმნის, იცავს უსასრულობას, რომ არ გაერთიანდეს და სიცოცხლე რომ არ გაქრეს. ძალიან საინტერესოა. როდესაც კაბალის სწავლას იწყებ, ხვდები, რომ ძალიან პატარა ხარ. ყველაზე მთავარი ის არის, რომ კაბალის შესწავლა მხოლოდ თეორიულად არ კმარა, იგი ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა განახორციელო. ხელოვნებაში ამ ყველაფრის გამოსახვა ძალიან საინტერესოა.

— რამდენი ხნის განმავლობაში მუშაობთ ერთ ნამუშევარზე?

— თემას გააჩნია, მაქვს ნამუშევრები, რომლებსაც ერთი წელი ვხატავდი. მაქვს ნამუშევრები, რომლებიც ორ დღეში, ერთ თვეში გამიკეთებია, სათქმელს გააჩნია. დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზანი გაქვს, შეიძლება ტექნიკურად ძალიან გამართული ნამუშევრის შექმნა გინდა. ვფიქრობ, თვითონ ფერწერას თავისი კანონები აქვს, მხატვარი, რომელიც ფერწერაში თავის კანონებს ქმნის, ჩემი აზრით, სუსტი მხატვარია.

— როგორ იქმნება ფერწერის კანონები?

— თვითონ შრომის პროცესში აღმოაჩენ. ჩემი აზრით, ყველაფერი ბუნებას უკავშირდება, ადამიანს შინაგანი სამყარო არ ჩამოუყალიბდება თუ გარე სამყაროსთან არ აქვს ურთიერთობა. მუსიკაც, ფერწერაც ყველაფერი ბუნებაშია.

— ბატონო რომან, რა შთაგაგონებთ?

— ძალიან ბევრი რამ. გარემოცვა, ბუნება, ადამიანები, ხელოვნების ძველი ნაწარმოებები. ადამიანების ურთიერთობები შეიძლება ხელოვნების უშრეტი წყარო იყოს.

— იტალიის პერიოდმა თქვენს შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოახდინა, რომელია იმ პერიოდის თქვენი საყვარელი მხატვარი?

— რომელი ერთი გამოვარჩიო, მიქელანჯელო, ტიციანი, რაფაელი, ტინტორენტო, ძალიან ბევრი ოსტატები იყვნენ, რომლებსაც შეუძლიათ შთაგაგონონ.

— ვისი აზრია თქვენთვის მნიშვნელოვანი თქვენი ნამუშევრების შეფასებისას?

— ხალხის აზრი ძალიან მნიშვნელოვანია. ყოველთვის შეიძლება ისეთი რაღაც მოისმინო, რომელიც შემდეგ ძალიან გამოგადგება. მაგალითად ბავშვს შეუძლია თქვას ისეთი რამ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. რაღაცის უარყოფა ყოველთვის ადვილია, მიღება კი — რთული. ყველაზე უარყოფითი შეფასებაც კი შეიძლება შენს სასარგებლოდ გამოიყენო.

— ბატონო რომან, თანამედროვე ქართველი მხატვრების შემოქმედებას თუ იცნობთ და რომელ მათგანს გამოარჩევდით?

— პირველ რიგში დავასახელებ გია ბუღაძეს, რომელიც ძალიან დიდი მხატვარია და საერთოდ უნიჭიერესი ადამიანია, ფილოსოფოსი და მრავალმხრივად მოაზროვნე ხელოვანია, მას ძალიან ვაფასებ. განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ჩემში სერგო ქობულაძეს, მისი ნახატები უმაღლეს დონეზე იყო შესრულებული. ზოგადად, ქართული სკოლა ძალიან დიდი და ძალიან მრავალფეროვანია.

— საქართველოს თემაზე თუ გაქვთ რამე დახატული?

— კი, უფრო ადრეული ნამუშევრები, ბოლო ხანებში, ჩამოსვლის წინ პატარა ეტიუდი გიასთვის საჩუქრად გავაკეთე. თბილისის ხედი არ არის, მაგრამ საქართველოს თემაა. ყოველთვის მოხიბლული ვიყავი სვანეთის ბუნებით, კოშკებით, გრანდიოზული ფორმებია, როდესაც მათ უყურებ, თითქოს ლაპარაკის უნარს კარგავ.

— როგორ დაახასიათებდით ნიუ-იორკის ქართველ ებრაელობას?

— მთლიანობაში დადებითად, როგორც ყველა ეროვნებაში, ჩვენთანაც არის ისეთი ადამიანების ფენა, რომელიც მაინცდამაინც პატრიოტიზმითა და თავისი ერის დიდი სიყვარულით არ გამოირჩევა, მთლიანობაში ამერიკაში ძალიან ძლიერი ებრაელობაა. რაც შეეხება ქართველ ებრაელებს, მე მგონი, ნიუ-იორკში უფრო მეტი არიან, ვიდრე საქართველოში. ერთმანეთთან ძალიან კარგი და მეგობრული ურთიერთობა გვაქვს.

— გმადლობთ საუბრისათვის.

ესაუბრა ნინო შავაძე

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003